

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების დასაქმება:  
ბარიერები და რესურსები

ქეთევანი ტალახაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქიატრიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა - ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ნანა ზავრადაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი , 2016

*როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ქეთევანი ტალახაძე

21.06.2016.

## აბსტრაქტი

მიზანი: ნაშრომის მიზანია იკვლიოს საქართველოში არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების , რესურსები და ბარიერები ავადმყოფობის მახასიათებლებისა და პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით დასაქმებასთან მიმართებაში.

მეთოდი: ფსიქო - სოციალური რეაბილიტაციის სერვისში ჩართული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების რაოდენობრივი კვლევა. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება ორი სხვადასხვა ინსტრუმენტით: დასაქმების და მხარდაჭერის ხელშეწყობა (ESA50) და ფუნქციური შეფასების კითხვარით ( FAI ) .

შედეგები: ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების სამუშაო უნარები აკმაყოფილებს დასაქმების ბრიტანულ სტანდარტს მაგრამ მათი დასაქმება ქართულ რეალობაში არ ხდება მაღალი სამუშაო და სოციალური უნარების მიხედვით. ასევე გამოიკვეთა ის ძლიერი და სუსტი მხარეები რომლებზეც მნიშვნელოვანია მუშაობა რეაბილიტაციის პროცესში რათა მოხდეს სრული მომზადება დასაქმების მიმართულებით.

სამიეზო სიტყვები : ფსიქიკური ჯანმრთელობა, დასაქმება , ბარიერები , რესურსები .

## **Abstract**

Objective: The aims of this study is to identify main issues in pre – employment process with people who have mental health problems, identify illness characteristics and personal characteristics of the resources and barriers relating to employment.

Method: People with mental health problems, who are involved in psycho - social rehabilitation services and who have disabilities are involved in quantitative research. Assessed their strengths and weaknesses with two different instruments: employment and support allowance (ESA50) and the Functional Assessment Inventory (FAI).

Results: Job skills of people who have mental health problem meet British standards of employment but their employment in Georgian reality is not dependent on their high social and work skills . It also revealed the strengths and weaknesses of the work which is important in the rehabilitation process in order to complete the preparation of the transition to employment.

**Key word : Mental health, employment, resources, barriers .**

## მადლობა

კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე ყველა პირს, ფსიქო - სოციალური რეაბილიტაციის ცენტრს და მის ხელმძღვანელს.